ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2019 წლის 18 იანვარი

დაბა ასპინძა

„ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №12 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/06/2017, ს/კოდი: 010250050.35.140.016257) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა მელიქიძე**

დანართი

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	რანგი	შტატის დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1		**საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები**	**16**	
		საკრებულოს თავმჯდომარე	1	2650
		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	2000
		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1300
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	4	1300
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	5	1000
2	**საკრებულოს აპარატი**		**6**	
	I რანგი	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – **აპარატის უფროსი**	1	1300
	II რანგი	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – **საორგანიზაციო**	1	1000

		განყოფილების ხელმძღვანელი		
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – მთავარი სპეციალისტი კადრებისა და წერილების საკითხებში	1	700
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი –მთავარი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1	700
	II რანგი	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – **საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი**	1	1000
	III რანგი	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი –მთავარი სპეციალისტი კომისიების და ფრაქციების ამომრჩეველთან შეხვედრების ორგანიზაციული უზრუნველყოფის საკითხებში	1	700